



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 303

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2016 წელი

მოქალაქე ომარი სანებლიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მიწის ნაკვეთი) მოქალაქე ომარი სანებლიძისათვის გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, შპს „კომპაუდის“ მიერ დადებული 04.08.2016 წლის №1272 და №1273 დასკვნებისა და მოქალაქე ომარი სანებლიძის 19.07.2016 წლის №17185/01 განცხადების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, მოქალაქე ომარი სანებლიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, მდებარე ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა №7-ის დასავლეთით, ნაკვეთი №3-ის, ფართობით – 360 კვ.მ. (ს/კ №03.01.23.306) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქუჩა №12-ის ჩრდილოეთით, ბუხაიდის ქუჩა №4-ის მიმდებარედ, ფართობით – 150.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №03.01.22.302), მოქალაქე ომარი სანებლიძისათვის (პირადი №60003004444) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. მოქალაქე ომარი სანებლიძის (პირადი №60003004444) მიერ გადახდილი იქნეს, ურთიერთგადასაცემი ქონების შეფასებით დადგენილი სხვაობის ღირებულება, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების 11.02.2016 წლის №57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შპს „კომპაუდის“ 04.08.2016 წლის №1272 და №1273 დასკვნების საფუძველზე შეადგენს 600.0 (ექვსასი) ლარს.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ უზრუნველყოს ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების მომზადება, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიალურად.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი